ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ჩოხატაური წერეთლის ქ. №2

☎ 790 20-33-05
577 47-43-34

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №66

25 თებერვალი 2014 წ.

მუნიციპალიტეტის მიერ ინფრასტრუქტურით და სოფლის პროგრამით გათვალისწინებული და ასევე სხვა სახის სამუშაოების შესრულებისას დემონტაჟის შედეგად მიღებული ქონების აღრიცხვისა და მიღება-ჩაბარების მიზნით კომისიის შექმნის შესახებ

,,ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლის მე-3 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. მუნიციპალიტეტის მიერ ინფრასტრუქტურით და სოფლის პროგრამით გათვალისწინებული და ასევე სხვა სახის სამუშაოების შესრულებისას დემონტაჟის შედეგად მიღებული ქონების აღრიცხვისა და მიღება-ჩაბარების მიზნით კომისიის შეიქმნას კომისია შედეგი შეამადგენლობით:

- ვლადიმერ ლომთათიძე - მუნიციპალიტეტის მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსის დროებით მოვალეობის შემსრულებელი- კომისიის თავმჯდომარე;
- ტარიელ ბერაძე - მუნიციპალიტეტის გამგეობის ზედამხედველობის სამსახურის სპეციალისტი მშენებლობის საკითხებში - კომისიის წევრი;
- ვალერი ყაჭეიშვილი - მუნიციპალიტეტის გამგეობის მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის სპეციალისტის მოვალეობის შემსრულებელი ქონების საკითხებში - კომისიის წევრი;
- პაატა ბერიშვილი - მუნიციპალიტეტის გამგეობის მუნიციპალური შესყიდვებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტის მოვალეობის შემსრულებელი სახელმწიფო შესყიდვების საკითხებში - კომისიის წევრი;
- ზაზა ოსეფაიშვილი - მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო სამსახურის საბიუჯეტო განყოფილების სპეციალისტი ბიუჯეტის დაგეგმვისა და ანალიზის საკითხებში - კომისიის წევრი;

2. დაევალოს კომისიას, მუნიციპალიტეტის მიერ ინფრასტრუქტურით და სოფლის პროგრამით გათვალისწინებული და ასევე სხვა სახის სამუშაოების შესრულებისას დემონტაჟის შედეგად მიღებული ქონების აღწერა და მატერიალურ პასუხისმგებელ პირზე ჩაბარება.

3. ეთხოვოს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის კომუნალური სამსახური ,,სხივი“-ს დირექტორს (კახა ჯინჭარაძე) მატერიალური პასუხისმგებელი პირის შერჩევა და დემონტაჟის შეადეგად მიღებული ქონების დასაწყობების უზრუნველყოფა.

4. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2013 წლის 20 მაისის ბრძანება N121 ,,მუნიციპალიტეტის მიერ ინფრასტრუქტურით და სოფლის პროგრამით გათვალისწინებული და ასევე სხვა სახის სამუშაოების შესრულებისას დემონტაჟის შედეგად მიღებული ქონების აღრიცხვისა და მიღება-ჩაბარების მიზნით კომისიის შექმნის შესახებ“.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში, ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე – ჭავჭავაძის ქ. N 4.

6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ანტონ ხუნდაძე

ვიზირებულია,

იურისტი *ედიშერ ჯიბუტი*